GRASS REFORMANDA

აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 32
თარიღი: 2 03 2018 წ.

GRASS FACTCHECK

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37–ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე–40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

2017 წლის 5 ოქტომბერს Facebook გვერდმა „იბერიული ერთობა" გაავრცელა უცნობი ფოტო შემდეგი აღწერით (გთავაზობთ უცვლელად): „თურქეთში (ხოფაში) ქარველების ტრაილერს უკნიდან შეასკდა თურქების მსუბუქი ავტომობილი. დაიღუპა ორი ადამიანი (თურქი). გულმოსულმა თურქებმა კი გადაწვეს ქართველების მანქანა. საქართველოში, რომ ანალოგიურად მომხდარიყო ქართველებს რამდენიმე წლიანი ციხე არ ასცდებოდათ, იქ კი პირიქით." ამის შემდგომ, ფოტო ვირუსულად გავრცელდა ინტერნეტ სივრცეში.

ფლობთ თუ არა ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას. თქვენი ინფორმაციით ჰქონდა თუ არა 2016-2017 წლებში მსგავს ფაქტს ადგილი?

პატივისცემით,

პაატა გაფრინდაშვილი
საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორი

მისამართი:
თბილისი, მიცკევიჩის #27

საკონტაქტო პირი: ირინა გურგენაშვილი
ტელ: 579 00 92 27
ელ.ფოსტა: Irina_gurgenashvili@yahoo.com

GRASS 406077579 Georgia's Reforms Associates